


უკან დახევა აღარ  
შეიძლება, უკვლავად  
უნდა გაგაქვითოთ, რომ  
ეპროკის 1991 წლის  
ჩემოდანას  
წყალსათხილაშრო  
სკორტში, რომლის  
ფოტოცა დაგაგონილი,  
ღირსეულად  
ვუზახინალოთ — ასეთია  
საქართველოს  
ჩემოდანის მთავრობის  
ასალი  
ხელშეწყობის  
გეგმვა გადაწყვეტილება.



ეროვნული  
გიგანტობა

როსა სახე ჩემოდანის პრესტიჟს ახევა

საქართველოს ჩემოდანის მთავრობის და სკორტის  
სახელმწიფო კომიტეტის გაგონი

1 დეკემბერი, შაბათი, 1990 წ.  
№ 228 (10 897) • შანი 3 კაპ.

გამოცემის 1934 წლის 13 აპრილიდან

# „ლ“

## ფოტოსკან

### უკვლავ გაგისეღოთ

**ბატონ ზვიად გამსახურდიას!**

**ვილმობა** საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ არჩევს, თქვენ და თქვენს თანამოაზრეებს გავლიათ უდიდესი პასუხისმგებლობა, რათა ქართველი ერი მიიყვანოთ სრულ გამარჯვებამდე. ჩემი თქანის საგლი გზა ნარეკლიანი იყო, მამა 1937 წელს დახვრიტეს, მე და ჩემი მამა 1939 წელს რეპრესირებული ვიყავით. აბა, ვის უნდა უხაროდეს თქვენი და სრულიად საქართველოს გამარჯვება თუ არა ჩემნაირ კაცს პირველ რიგში.

ღმერთი იყოს ჩვენი შემწე და საქართველოს მფარველი.

მიხეილ იმნაძე,  
საქართველოს ფიზიკური კულტურის და სპორტის დამსახურებული მუშაკი, საქართველოს სკოლის დამსახურებული მასწავლებელი.

**ახალი** მასშტაბის ასარეზობის ადგილად ევროპაში 1991 წლისათვის მხოლოდ საქართველო და მისი საზღვაო ქალაქი ფოთი რომ შეირჩა, დიდი პატივია ჩვენი რესპუბლიკისათვის და ნდობა უნდა გავამართლოთ. საქმე ეხება საქართველოს ავტორიტეტს, ევროპული რანგის ასარეზობის მაღალ ორგანიზაციულ დონეზე ჩატარება კი პირდაპირ გვიხსნის გზას მსოფლიო აღიარებისაკენ — ფოთი თამამად ამოუდგება მხარში წყალსათხილაშრო სკორტის ყველაზე თვალსაჩინო სპორტულ ცენტრებს. ამ სულისკვეთებით ჩაიარა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში გამართულმა საგანგებო სხდომამ. სხდომაზე მიიწვიეს სამინისტროები, უწყებების სპორტული და იმ ორგანიზაციების ხელმძღვანელი მუშაკები, რომლებსაც ევალებათ შემოქმედებულ რეაღმობაში შესარულონ მათზე დაკისრებული სამუშაოები. ჩემპიონატისათვის მზადება ხომ ფაქტობრივად მრავალი ობიექტის რეკონსტრუქციას, კეთილმოწყობას თუ ახლის მშენებ-

ლობას მოითხოვს. ითქვა, რომ რესპუბლიკაში შექმნილი რთული ეკონომიკური ვითარების მიუხედავად, სახსრები აუცილებლად უნდა გამოიანახოს, არც უცხოეთის ფირმებთან ერთობლივი სავაჭროების შექმნაზე უნდა ვთქვათ უარი, თუკი ურთიერთშეთანხმებით გარკვეული სავალუტო ფონდი შეიქმნება. ამასთან, შიგარესპუბლიკურ საფინანსო რეზერვების გამოძებნას და სახსრების კოორდირებას უნდა დაეთმოს განსაკუთრებული ყურადღება, საჭირო იქნება სპონსორების დახმარება.

თათბირზე სრულიად სამართლიანად გაესვა ხაზი იმ გარემოებას, რომ პრობლემების გადაჭრაში „დისტანციური მართვა“ სასურველ ეფექტს ვერ გამოიღებს. ამიტომ საჭიროა ყველა ხელმძღვანელი ადგილზე ჩავიდეს და უწინამძღოლოს იმ საქმეს, რაც მას ევალება, საორგანიზაციო კომიტეტმა კი სხდომები ფოთში უნდა ჩაატაროს. ამ წინადადებას ყველა მოწონებით შეხვდა, რადგან ახლა სხვაგვარად აღარ შეიძ-

ლება — საქმე ბევრია, დრო ცოტა! თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ ბ. ბოჭორიშვილი — კავშირგაბმულობის მინისტრის მოადგილე, ი. გოგიტიძე — სავაჭრო განყოფილება „საქგეოლოგიის“ უფროსი, ნ. ენდელაძე — სპორტსაკომისის თავმჯდომარე, ვ. მახარაძე — სპორტსაკომისის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, მ. შურაგინელი — ფინანსთა მინისტრის მოადგილე, დ. პეტრენავა — მინისტრთა საბჭოს განყოფილების გამგე, ა. მუსერიძე — საქსპეციალმშენის“ უფროსი, თ. გაბუნია — უცხოეთის ტურიზმის განყოფილების უფროსის მოადგილე, თ. შილაგაძე — სახელმწიფო კონცერნ „საქავტოგზის“ თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ჯ. ნინუა — გაზეთ „რესპუბლიკის“ მთავარი რედაქტორი...

თათბირს უმჯობესად და მისი შედეგები შეაჯამა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან შექმნილი საგანგებო სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელმა დანიელ სიბაშვილმა.


უკვლავ გაგისეღოთ „ლ“ სახეზე სკორტში ეპროკის ჩემოდანისათვის მზადების ნახეი რედაქციის კონსტრუქციას!

საქართველოს  
ჩემოდანის  
განათლების  
სამინისტროში

„გარტეპ“ —  
პილენულიდან  
ახალი  
სიგაღმეგობსაგენ

საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროში გაიმართა სპორტსაზოგადოება „მართვეს“ რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა, რომელმაც განიხილა მიმდინარე საკითხები და ერთგვარად შეაჯამა მოსწავლეთა საკავშირო სპორტაკიადაში ჩვენი სპორტსმენების გამოსვლა. მოსწავლეთა ამ დიდმნიშვნელოვან ფორუმში საქართველოს წარმომადგენლებმა მართლაც თვალსაჩინო წარმატებას მიაღწიეს და ამას საგანგებოდ გაესვა ხაზი, მაგრამ პრეზიდიუმის სხდომაზე პრინციპული საუბარი იყო იმ ხარვეზებზეც, რომელთა აღმოფხვრა სპორტსაზოგადოებას უპირველესი მნიშვნელობის საქმედ მიიჩნია.

პრეზიდიუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს რესპუბლიკის განათლების მინისტრი, ქალბატონი ლია ანდლულაძე. მან ილაპარაკა მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის საჭიროებებზე და აღნიშნა, რომ ყველა პრობლემის გადაჭრა უნდა მოხდეს ერთობლივი ძალისხმევით.



## სლავა მეტრეველის პრიზზე

დაიწყო თბილისის მეორე საერთაშორისო ტურნირი მინიფეხბურთში

თბილისის სპორტის — სასახლეში მისულ ქურნალისტებს შეჯიბრების ორგანიზატორებმა ტურნირის წილოები გვიჩვენეს — ბროლისა და ბრინჯაოსაგან გემოვნებით დამზადებული კარგა მოზრდილი თანები.

სარბიელს, სადაც დილიდან სპორტის სასახლის პრეზზე მოასპა-

რებე ნორჩი მინიფეხბურთელები გამოდიოდნენ, საღამო უამს ვეტრანის ფეხბურთელები დაეუფლნენ — სლავა მეტრეველი! თანის ვათამაშების თბილისის მეორე საერთაშორისო ტურნირის მონაწილენი. უნდა ითქვას, რომ ამ სახელმძღვანელო ვეტრანის ტურნირი ქურნალისტებისათვის ფაქტი-

ურად გუშინ 12 საათზე დაიწყო, როდესაც აქ პრეს-კონფერენცია გაიმართა. პრესის, ტელევიზიის, რადიოს წარმომადგენლებმა დაიკმაყოფილეს ცნობისმოყვარეობა, ამომწურავი იყო საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელის კახი ასათიანისა და შეჯიბრების მთავარი არბიტრის გიორგი ბაქანიძის ინ-

ფორმაციები. კორესპონდენტებმა მკიდრო ალყაში მოაქციეს ტურნირის მონაწილეები — გერმანელი (ზაარბრუკენის ნაქრები), პოლონელი (ვარშავის ნაქრები), თურქი (ელაზი „გალათასარი“) და ესპანელი (ბასკეთის პროვინცია გიპოსკუას დედაქალაქ სან-სეპსტიანის ფეხბურთელები). გუნდების ხელმძღვანელები და მწვრთნელები, ცნობილი კიევილი ფეხბურთელები:

იხ. 313 33

„გინესის კლუბი“  
მოსახლეობის ფიზიკური განვითარების სრულიად საქართველოს ასოციაციასთან შეიქმნა „გინესის

საქართველოში  
კლუბი“. კლუბი გააერთიანებს ყველა მსურველს, რომლებსაც გადაუწყვეტილ რეგისტრაციაში

გაატარონ ან გააუმჯობესონ გინესის წიგნი შესული აღნიშნული მიღწევები. წინასწარი რეგისტრაცია საგაღმებულოა.

„გინესის კლუბის“ დროებითი მისამართია: თბილისი, 380096, კოსტავას 14, „ლელოს“ რედაქცია.

თ. ლეკვიანი —  
ადრე ცნობილ სპორტსმენებს იშვიათად თუ ფრჩხედნენ სპორტულ ფედერაციის თავმჯდომარედ. ახლა კი ვითარება იცვლება — ამ დღეებში გაიმართა ეურვის რე-

სპუბლიკური ფედერაციის პლენუმი, რომელმაც ალტერნატიული საწყისზე, სპორტის ამ სახეობაში ფედერაციის თავმჯდომარედ აირჩია წარსულში ცნობილი მოკურავი თინათინ ლეკვიანი.



# სლავა მებრეველის პრიზი

(დაასრული)

ანდრეი ბიბა და იოჟეფ საბო, ძველი მოსკოველი ტორპედოელი და დინამოელი მიხაილ გერშკოვიჩი... ამჯერად ტურნირი მიმდინარეობს ახლად დაარსებულ საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა კავშირის ეგიდით. ტურნირის მთავარი პრიზი გამოჩენილი ფეხბურთელის სლავა მებრეველის სახელობისაა. დაწე-

სებულია პრიზები ტურნირის საუკეთესო მოთამაშეებისა და გუნდებისათვის. ვინაიდან თბილისში საასპარეზოდ ვერ მოხერხდა ჩვენი ძველი მეგობრის, ლიტვის ნაკრების ჩამოსვლა, გათამაშების კალენდარში, ცხადია, შესაბამისი ცვლილებები შეიტანეს. გაიმართა პირველი ექვსი შეხვედრა, მოგვყავს მათი ტექნიკური შედეგები: მოსკოვი-ვარშავა 4:1.



სან-სებასტიანი-კიევი — 3:3, ზაარბრიუენი-ერევანი — 2:3, სტამბული-მოსკოვი — 3:7, კიევი-ზაარბრიუენი 4:2, თბილისი-ვარშავა 10:0. დღეს სპორტის სახელობის სარბიელზე შეჯიბრების მეორე ტური 16 საათსა და 30 წუთიდან დაიწყება.

## ოთარ ნოზაძე

**სურათიანზე:** ბაკეთის (ზევით, მარცხნივ), თურქეთისა და პოლონეთის გუნდების წარმომადგენლები პრესკონფერენციაზე; ქვევით — ეპიზოდი ახალგაზრდა ფეხბურთელთა ტურნირიდან; — თურქეთის ვეტერანი ფეხბურთელები ვარჯიშზე.

ალექსანდრე კობორაშვილის ფოტოგრაფია.



## უეფა-ს თასზე

განვლილ ოთხშაბათს გაიმართა უეფა-ს თასის გათამაშების მერვედფინალის პირველი მატჩები. საინტერესოდ ჩატარდა მოსკოვის ტორპედოელთა შეხვედრა საფრანგეთის „მონაკოსთან“. ტორპედოელებმა პირველ ტაიმში კარგად ითამაშეს და ორი ბურთი გაიტახეს მეტოქის კარში (ტიშკოვი, ნ. სავიჩევი). შესვენების შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა — „მონაკოს“ ფეხბურთელები გააქტიურდნენ და უერარ პასიმ გაიტახა ერთი საპასუხო გოლი, რითაც მან მნიშვნელოვნად აამაღლა თავისი გუნდის შანსები მეორე შეხვედრის წინ, რომელიც მონაკოში შედგება 11 დეკემბერს. ცნობილი ფრანგული გაზეთი „ეკიპი“ აღნიშნავს, რომ „მონაკოს“ აქვს გარკვეული შესაძლებლობა მეოთხედფინალში გავიდეს. რაც შეეხება თვით გუნდის მწვერთხელს მ. ვანჟერს, მან განაცხადა: „ტორპედოელებმა სწრაფი და დინამიური ფეხბურთი აჩვენეს, გუნდი დროდადრო იმ პერიოდის კიევის „დინამოს“ ჰგავდა, როცა იგი საუკეთესო ფორმაში იმყოფებოდა“. უეფა-ს თასის მერვედფინალის პირველი შეხვედრები ასე დასრულდა:

„ტორპედო“ (მოსკოვი, სსრკ) — „მონაკო“ (საფრანგეთი) 2:1; „ვიტესი“ (პოლანდია) — „სპორტინგი“ (პორტუგალია) 0:2; „რომა“ (იტალია) — „ბორდო“ (საფრანგეთი) 5:0; „ინტერი“ (იტალია) — „პარტიზანი“ (იუგოსლავია) 3:0. „კელნი“ (გფრ) — „ატლანტა“ (იტალია) 1:1; „ანდერლექტი“ (ბელგია) — „ბორუსია“ (დორტმუნდი, გფრ) 1:0; „ბრონდბიუ“ (დანია) — „ბაიერი“ (ლუვერკუზენი, გფრ), 3:0; „ადმირა ვაკერი“ (ავსტრია) — „ბოლონია“ (იტალია) 3:0.

## მ. აპელანის სადარღებელი

ამერიკის შეერთებულ შტატებში ემზადებიან 1994 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატისათვის. ორგანიზაციის დიდ საკომისიოს ეწევა მომავალი წლის დასასრულს ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ უნდა შეარჩიოს 8-12 ქალაქი, სადაც გაიმართება ფინალური ეტაპის შეხვედრები. ამერიკელთა ინტერესი ევროპული ფეხბურთისადმი თანდათანობით

იზრდება, მაგრამ როგორც ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა, ბრაზილიელმა ეთაო აველანებმა აღნიშნა, ეს მაინც არაა საქმარის ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისათვის. კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატების სამი წამყვანი ტელეკომპანია (ეი-ბი-სი, ენ-ბი-სი და სი-ბი-ესი) არავითარ სურვილს არ ამჟღავნებს საკუთარ თავზე აიღოს მსოფლიო ჩემპიონატის მატჩების ტრანსლაციის ხარჯები. ძველი ტრადიციების დარღვევას, რომ მატჩებს ამერიკის შეერთებული შტატებიდან ეთერში გადასცემენ არა ეროვნული, არამედ უცხოეთის „ელექტროლ პრესის“ მეშვეობით, ტრანსლაციის უფლებასაც ევროპის ტელევიზია და რადიო შეისყიდებიან.



## აკითხვები გავითი

პრესაში გამოჩნდა ცნობა იმის შესახებ, რომ იტალიის „რომაში“ გაუიდა იტალიის ნაკრებისა და ამ კლუბის საუკეთესო ფეხბურთელი ჯუზეპე ჯანიჩი, გთხოვთ, გვაცნობოთ, რომელი კლუბის ღირსებას იცავს დღესდღეობით ეს მოთამაშე?

ნათია ონიანი, ლენტეხის რაიონი, სოფელი ხოფური.

ჯუზეპე ჯანიჩი სხვა გუნდში არ გადასულია. იგი „რომას“ სხვა უძლიერეს მოთამაშეებთან: რულ ფიორენტინთან, რუჯერო რიტციელოსთან, ბრუნო კონტისთან, თომას ბერტოლთან ერთად კვლავ ამ კლუბის ღირსებას იცავს. ამ მოთამაშეს იტალიის ეროვნულ ნაკრებშიც არ დაუთმია ადგილი.

## პირველ ჯგუფში იასპარეზებენ

დამთავრდა რესპუბლიკის ჩემპიონატი ფეხბურთით 11 ჯგუფის გუნდებს შორის. მომავალი წლიდან პირველ ჯგუფში თამაშის უფლება მოიპოვეს თბილისის „მრეტებმა“

(აღმოსავლეთი ქვეჯგუფი), ტყიბულის „კობიზმა“ (ცენტრალური ქვეჯგუფი) და სენაკის „ეგრისმა“ (დასავლეთი ქვეჯგუფი).

რამდენიმე კვირის წინ, მშობლიურმა მიწამ მიიბარა ქართული ფეხბურთის ბერძნული, ლეგენდარული ბორის პაიჭაძე. ხარდაცქვიო არქივში შემოგვჩა მიხი ოსტატობის ამხანაველი უნიკალური კინოკადრები, რომელსაც დღეს გთავაზობთ ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ლევან ჩხაიძის კომენტარით.

## ასა ურტყამდა ბორის პაიჭაძე

ამ კინოგამაზე აღბეჭდილია უძრავ ბურთზე ტერფის ზურგით დარტყმა, რაც ფეხბურთის თამაშის ტექნიკის ერთ-ერთ რთულ ელემენტად ითვლება დღესაც. ასეთ დარტყმას უზადოდ ასრულებდა ტყავის ბურთის ჩადოქარი ბორის პაიჭაძე. იმისათვის, რომ ბურთს ტერფის ზურგი მთლიანად შეეხოს, სპორტსმენი ლამის მიწას უნდა მისწვდეს ცერით. სხვაგვარად ბურთი ტერფის ზურგზე ვერ „მოაჯდება“, რის გამოც თვით დარტყმა სუსტი და უმისამართო გამოვა. მიწამდე ცერის დაშვება კი ფეხის უზუსტეს მოძრაობას მოითხოვს, რადგან იგი ძალზე სახიფათოა — ძლიერად მოქნიული ფეხის წვერი შესაძლოა მიწას წამოედოს და მამინ კოჭ-წვივის დაზიანება გარდაუვალია.

როცა აანალიზებ ამ კინოგამას, აღტაცებას იწვევს ის, თუ როგორ ასრულებდა ამ დარტყმას ბორის პაიჭაძე. დააკვირდით, როგორ დგამს ბურთთან ახლოს. საყრდენ ფეხს, ტანი კი უკან აქვს გადაზნექილი, რათა ოპტიმალური მდგომარეობა შეუქმნას „დასარტყმელ ფეხს“ გადასადგომლად. ასე იქმნება ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი კუთხეები: თემოსა და წვივს, ტერფსა და წვივს, აგრეთვე ტერფსა და მიწას შორის. ბორის პაიჭაძე სრულად დაეუფლა ამ დარტყმას 1938 წელს, როცა ტექნიკის ეს ელემენტი ყველა სათვის ზელმისაწვდომი როდი იყო. კინოგამა ბევრისათვის სასწავლო საშუალებად, ჩემთვის კი დარტყმის ბიომექანიკის შესასწავლ მდიდარ მა-

სალად იქცა. სწორედ მისი საშუალებით აღმოვაჩინე, ახლა უკვე ყველასათვის ცნობილი, ადამიანის ბალისტური მოძრაობის დროს სახსრების დარტყმის წინა დაჭიმულობა. იგი კიდურს (ფეხბურთელის ფეხს) აქცევს ერთ მთლიანად, ტერფის მასას უერთდება წვივისა და თემოს მასა, რაც ზრდის დარტყმის ძალას და გარკვეულწოდ ტრავმისგანაც იცავს ფეხს. დაჭიმულობას (იგი რეფლექტორულია) გარკვეული საფრთხე სდევს ტექნიკურ თვალსაზრისით — მისი წყალობით წვივისა და ტერფს შორის კუთხე შეიძლება შემცირდეს და დარტყმის შედეგად ბურთის ტრაექტორია ამაღლდება და ასცდება მიწას. რისი მომსწრენიც ხშირად ვართ. დააკვირდით, თუ რა მდგომარეობაში აქვს ტერფი პაიჭაძის მოქმედებისა და ბურთზე შეხების დროს. იგი ერთიანად წვივთან და მიწასთან დახრის კუთხე ისეა, რომ ბურთი უზუსტად მიდის მიზნისკენ. საგულისძნობა, საგრეთნუ. ბორისის ფეხის მოძრაობაც, რომლის დიდი სიჩქარის გამო კინოკამერამ დარტყმის ბოლო კადრებში ფეხისა და ბურთის კონტურები მკვეთრად ვერ დააფიქსირა.

დაბოლოს, რამდენიმე კვირის კინოგამის მიხედვით ტერფის წვერის სიჩქარე მოძრაობისას უდრის 25,0 მეტრს წამში, ბურთისა — 25,0. რაც საათში 82,8 კმ-ს შეადგენს. სხვათა შორის, დაახლოებით ასეთი მონაცემები იყო იტალიაშიც მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში.

